

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი 15 მაისი, ოთხშაბათი, 1981 წ. № 88 (10 501) • ფასი 10 კაპ. გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო მეგობრებო კვლამინდობად გუნდოვანი

მეგობრებო, ჩიბურდანიძე — სტურუა 1:0, იოსელიანი — ზა-იჩიკი 0:1, კახიანი — გაფრინდა-შვილი 1:0, ეფიშვილი — ჯანაშვილი 0:5:0, გურგენიძე — არახაძე პარტია გადამო. გიორგიძე თამა-შიდან თავისუფალი იყო.

მეგობრებო, ყურადღების ცე-ნტრში იყო ჩიბურდანიძე — სტუ-რუას შეხვედრა. მსოფლიო ჩემ-პიონი უკანასკნელ ტურებში სულ უკეთესად თამაშობს, სტურუა კი წარმატების შემთხვევაში კიდევ უფრო ჩამოტოვებდა მეტოქეებს. იგი მეფის პაიის დასაწყისის წი-ნაღმდეგ შევებით სისტემატურად ირჩევს კარგ-კანის დაცვას. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცის ჩიბურდანიძემ, რომელიც წინასწარ საგულდაგულოდ მოემზადა კიდევ კარგად ცნობილ ვარიანტში მსო-ფლიო ჩემპიონმა მეტოქეს შეს-თავაზა ცენტრალური პაიკი. ეს გაგრძელება არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დამუშავდა. როგორც ჯერჯერობით არსებულმა მცირე-ოდემა პრაქტიკამ გვიჩვენა, ამ საეჭვო „საჩუქარს“ მიღება სა-ხიფათოა, თუმცა, ასეთი მაგალი-თებიც იყო. მცირე მსხვერპლის ფასად, თეორიულ სახიფათო ინიც-იატივას იღებენ, ხანგრძლივი ფი-ქრის შემდეგ, სტურუამ რომელი-ც, ცხადია, მოერგა რაიმე, შინ დაშვადებულ „ნაღმს“. გადაწყვეტი-არ მივიღო პაიის შეწირვა და სავა-ნაირად ითამაშა. შემდეგ ჩემპი-ონი თანდათან ავიწროვებდა პერ-ოქეს, ამასთან, სტურუა სასტიკი ციტირატშიც აღმოჩნდა. მწვავე შეტაკებისას დიდი მოწველობა ჰქონდა იმ ამბავსაც, რომ თეორე-ბის მეფე საიმედოდ იყო დაცული, რაც შევებზე არ ითქმის, ჩიბურ-დანიძემ პარტიალური უპირატე-სობა მოიპოვა, ბოლომდე ზუსტად თამაშობდა და გაიმარჯვა. ამ მნი-შვნელოვანი მოგების შემდეგ მსო-ფლიო ჩემპიონის პირველი პრიზი-სათვის ბრძოლის შესაძლებლო-ბები გაუჩნდა, სტურუას მდგო-მარეობა კი, ცხადია, გაუარესდა.

ის, რომ კახიანი შეუდრკელი მეტროლია, ადრეც კარგად იყო ცნობილი. ორი ტურის წინ იგი ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იტყო-ფებოდა, მაგრამ აბა ახლა შეხე-დით მის სატურნირო მდგომარე-ობას! წინა ტურში ზაიჩიკის და-მარცხებზე ჩვენ უკვე ვცერდით. ახლა კი ახალგაზრდა დიდოსტატმა თქვენი იუმბილარსაც სძლია. კახიანი დაუცველად დარტყა ლაზერის ფრთა, სტურუა სამართლიანად დაასჯენა, რომ ამ უბანზე არა წყდებოდა ბრძოლის ბედი. ამასობაში

თავისებური კურონობა, რომ 11 მონაწილედან, დღეისათვის 8 (1), ინარჩუნებს საპრიზო ადგილებსა-თვის ბრძოლის მეტნაკლებ შესა-ძლებლობას, ეგრეთვე შეძლო თუ-ნაც უმნიშვნელო „დისტანციით“ წინ გასვლა. ეს მაშინ, როცა შე-ჯიბრების ორი მესამედი უკვე და-მთავრდა.

გიორგი გაფრინდაშვილი

საქართველოს
პროფესიული
ჩემპიონატი
ფეხბურთში

„მოლხათი“ (ხობი) — „იბე-ჩიკი“ (თბილისი) 2:2 (0:1).

ხობი. ცენტრალური სტადიონი.
12 მაისი.

„მოლხათი“. ბაბუაძე, ზურცი-ლაშა (ფარფალია), კაციაძე, შუ-რდია, ლატარია, მამფორია, ბა-კურაძე, რუხაძე, კალუა, პიშუშინი, გვახაძე.

საქართველოს სახელით. ეროვნული დროებითი



კიშინიძე, ი. ზაიჩიკის სახე-ლობის საერთაშორისო ტურნირზე ბერძნულ-ეროვნულ კიბოთბურთში, ჩე-ნი რესპუბლიკის 13 ათლეტმა იას-პარეზა და მხოლოდ ორი მოქიდავე დარჩა უმეტესად, ისინიც ტრავმე-ბის „წყალობით“. ოქტა, თბი-ლისელმა გელა პაპაშვილმა (48 კგ) და ბორჯომელმა რევაზ კალა-ნაძემ (68) გამარჯვებით დიფი-ყეს შეიჯიბრეს.

ტურნირში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, რუმინეთის, რუსე-თის, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის ნაკრე-ბი გუნდები.

საქართველოდან ტურნირის გა-მარჯვებულის სახელი მოიპოვეს საგარეჯოელმა თამაზ ქაზარაშვილმა (57), ბორჯომელმა დიმიტრი მე-ლაძემ (62), სენაკელმა კობა ოჩი-გავამ (74), ქუთაისელმა გიორგი კო-

ლუაშვილმა (90) და თბილისელმა ზაურ ივანიშვილმა (100). აღსანი-შნავია, რომ ხუთ წონით კატეგო-რიიდან სამში — 62, 74, 100 — მაყურებელმა „ქართული ფინალი“ იხილა.

მეორე ადგილები დაიკავეს ბათუ-მელმა ოთარ ბაკურაძემ (52), მარ-ტყოფელმა კობა გულიაშვილმა (62), სამტრედიელმა გიორგი ადენიშვილმა (74), თბილისელმა თენგიზ თედო-რეძემ (100) და ოზურგეთელმა ზვი-რა ქორიძემ (მძიმე). სამტრედიელი კობა ჯიჯიშვილი (90) მესამე ად-გილზე გავიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტუ-რნირი საქართველოს ბერძნულ-რო-მაული სტილის მოქიდავეთა ნაკრე-ბის პირველი დამოუკიდებელი გამოსვლა გახლდათ მის შემდეგ, რაც საქართველოს სპორტი გაემი-ჯნა საკავშიროს. თუ შედეგებით

ვიმსჯელებთ, ჩვენს მოქიდავებს-ურიგოდ არ უასპარეზიათ. კიშინი-ოვის ტურნირი ასევე პირველი შე-ჯიბრება გახლდათ ჩვენი ნაკრე-ბის უფროსი მწვრთნელის პაატა ყუბუშვილისთვის.

აქვე, კიშინიოვში, ბერძნულ-რო-მაული სტილის მოქიდავეთა სპარ-ტოელად ასპარეზობდნენ თავისუ-ფალი სტილის მოქიდავეები, საქარ-თველოდან მხოლოდ სამი სოხუმ-ელი მოქიდავე მონაწილეობდა და სამივე საპრიზო ადგილებზე გა-ვიდა: ნუგზარ ჭკუასელი (52) პირ-ველი იყო, დავით ხურციასა და ილდარ კურტანიძის (ორივე — 82) ფინალურ ორთაბრძოლაში გაიმარ-ჯა დ. ხურციამ.

ს უ რ ა თ ე: საქართველოს ბერ-ძნულ-რომაულ სტილით მოქიდავე-თა ნაკრები გუნდი.

დაზარალებულთა

გრძელდება 29 აპრილს საქარ-თველოში მომხდარი მიწისძვრის შე-დეგად დაზარალებული რეგიონე-ბის მოსახლეობის მატერიალური დახმარება.

საქართველოს სპორტის და-პარტამენტის ორგანიზაციები-დან:

● ზიდაშვილის ექსპერიმენტული გაერთიანება — 2580 ზან.

● მაგიდის ჩოგბურთის გაერ-თიანება — 500.

● მოიჯარათა საწარმოო გა-ერთიანება — 3700 მანეთი ნაღდი ფული, 14 ათასი გადარიცხვით, 6 ათასი მანეთის ტანსაცმელი.

● შაბაღისი სპორტული და-ისტატების №1 და №2 რესპუბლი-კური სკოლები შესაბამისად 1070 და 990 ზან.

● შაბაღისი სპორტული და-ისტატების ტანვარჯიშის სკოლა — 730.

● ყაღალა სახეობების რესპუ-ბლიკური გაერთიანება 2119.

● საცხენოსნო სპორტული ბა-ზა — 500.

● სამეცნიერო-კვლევითი ინს-ტიტუტი — 629.

● მუშაობა ობიექტების და

დასახმარებლად

სპორტანგეობათა სამმართველო — 360.

● თბილისის სამშენებლო ტრე-სტი 10 ათასი მანეთი თანამშრომე-ლთა პირადი დანაზოგიდან, 30 ათა-სი მანეთი გადარიცხვით.

სპორტსაზოგადოება „შეპარ-დინის“ ორგანიზაციებიდან:

● მალაონოსის სასახლე — 1000 ზან.

გაზეთი „ლალოს“ რედაქციას!

ამგორლაშის რაიონის პრეფექტ-ურა, სპორტკომიტეტი და მიწისძვრისა-გან დაზარალებული მთელი მოსახლე-ობა უდრამეს მადლობას უხდის ფე-ხბურთის ინსტიტუტის კოლეკტი-ვებს, რომელიც დიდად დაგვეხმა-რა ჩვენთვის ამ მძიმე, საბედისწე-რო უბედ.

მაშველი რაზმები, ინსტიტუტის 80 სტუდენტს შემადგენლობით, რაიონში დატრიალებული უბედურე-ბების მეორე დღესვე უკვე ჩვენს გვერდით იყვნენ. რაზმი გაიყო ორ ჯგუფად: პირველმა — მთლიანად გაათავისუფლა და გაწმინდა ნანგრ-ევებისაგან სოფელი შხიფანა და ველევი, მეორე ჯგუფმა კი რაიონულ ცენტრში 85 სახლი და 5 დაწესე-ბულები.

რაზმებს ხელმძღვანელობდნენ ინსტიტუტის პროფესორი ტრის-ტან გულბანი და ასპირანტი დავით

კვინიკაძე, მასწავლებლები — ნიკოლოზ ზაურაშვილი, გივი ჯანელ-იძე, ლევან მგელაძე, დავით სხი-რტაძე, ილია წიკლაური, გელა პაპაშვილი და კინოოპერატორი ვალერი ჯავახია.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ, აგრეთვე, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირ-ველ მოადგილეს ვახტანგ მახარა-ძეს, ამავე დეპარტამენტის სამმა-რთველო ფუნქციონარს გურამ მაშუ-ლაშვილს, ფეხბურთის ინსტიტუ-ტის რექტორს ომარ გოგიაშვილს, ინსტიტუტის პროფესორს, დო-ცენტს ჯემალ ძაგანას, დოქტორს, დოცენტ ლუბიშვიან ჩიტაშვილს ჩვენს გვერდით დგომისა და გაბე-ნეგებისათვის.

ზონდო სარდანაშვილი,
ამბროლაურის სპორტკომიტეტის
თავმჯდომარე.

„იბეჩიკი“ ჩიხიძე, არზიანი, მა-კავარიანი, შელია, ჯიშკარიანი, რე-ვიშვილი, ჭიჭიბია, ჩიჭიკიანი, კაპა-რაძე (ყავილაშვილი), ჯამარაული (ინალიშვილი), გოგინაშვილი.

მსაჯეები: ვ. შელია, ს. პარავოვი, რ. ჩიჭიკიანი (სამივე — გავრა).

„იბეჩიკის“ თამაში საქართველოს ყველა ქალაქში დიდ ინტერესს იწ-ვევს. ცხადია, ასე იყო ხობშიც.

მასპინძლები სრული შემადგენლ-ობით ვერ გამოვიდნენ მინდორზე — რამდენიმე ზოგელი ფეხბურთე-ლი დაშავებულია, ბოსტანჯიანმა და ქიქინაძემ კი ორი გაფრთხილე-ბის გამო გამოტოვეს შეხვედრა.

მატჩი ნელ ტემპში დაიწყო. ათი წუთი ისე გავიდა, არც ერთ მხარეს კარში არ დაუტყდა. შემდეგ კი ჯერ პიშუშინმა, მერე ჯიშკარიანმა,

ბული მაყურებელი ტაბის დამ-თავრებამდეც და შესვენების დროს-აც არ ცხრებოდა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა უფრო აქტიურად დაიწყეს თა-მამი. 48-ე წუთზე თბილისელთა საჯარიმოში წაქციეს კალუა. „იბე-ჩიკის“ კარში დაინიშნა თერთმე-ტმეტრიანი. ლატარია ამგარიში გაათანაბრა. 65-ე წუთზე უბედურე-ბები დაიწყო, რომელმაც პარ-ტნიორის ნაცვლად ბურთი ახლო მდგომ ყავილაშვილს მიაწვდა. ამ უკანასკნელს არ გასჭირვებია გო-ლის გატანა.

ორი წუთის შემდეგ, რევევი-ლმა და წიშკარიანმა აშკარა სი-გოლე მომენტები შექმნეს. 70-ე წუთზე კიშკარიანის ძლიერა დარ-ტყმა ოდნავ ასცდა კარს: ათიოდე წუთში ბაკურაძე წაქციეს საჯა-რიმოში. მსაჯმა კვლავ პენალტი და-

ტურის სხვა მატჩების მიმოხილვა
იხ. მე-2-3 გვ.

გზაგადასასრული

● **გზაგადასასრული.** ჩოგბურთულ ქალთა პირველი ტურნირის „მედიტერანეის თასი“ პირველი ტურში თბილისელი ლეოლა მესხი და მარცხდა ჩეხოსლოვაკიელ რადკე ზრუბაკოვსთან — 2:6, 2:6.

● **რუმინი.** იტალიის ლია ჩემპიონატი ჩოგბურთში ქალთა შორის არგენტინელმა გაბრიელა საბატინომ მოიგო ფინალში მან აშკარად დაჯანა მხოლოდ პირველი ჩოგბურთული მოსიკა ხელში (იუგოსლავია) 6:8, 6:2. ხაინტერესია აღინიშნოს, რომ 21 წლის არგენტინელმა წლებულ უკვე მეხუთე ხარისხის ჩოგბურთში გაიმარჯვა.

● **მარშაპ.** მშვიდობის ევროპის მერვე ეტაპზე გამარჯვება ფრანგმა ტიერო ბრიკომ მოიპოვა: 198-კილომეტრიანი ტრასა (კლოდ-ზეო-ჩენსტოვო) მან 5:15.29-ში დაფარა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ იტალიელი ბიკო კონტი (გამარჯვებულს 15 წამით ჩამორჩა) და გერმანელი უპე ვისტერი (18).

● **გაზინგტონი.** ქალთა 8-კილომეტრიანი მძლეოსნური გარბენი აშშ-ის დედაქალაქის ქუჩებში მოიგო ბოლო ორი წლის მხოლოდ ჩემპიონმა კროსი ლინ ჯენინგსმა — 25.02,0.

ინგლისელების დაბრუნება

(დასასრული)


შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონობას ვერაინ შეეცდნენ. გარდა ამისა, „ბარსელონა“ ერთდროით გუნდით ევროპაში, რომელიც სამჯერ ფლობდა თასების მფლობელთა თასს. თუ ფერადიუნობა ამ ტურნირში ერთხელ უკვე გაიმარჯვა „ბარსელონა“ ერთად, ესპანელთა გუნდის მფლობელობა, ცნობილმა პოლანდიელმა იოჰან კრუიფმა ასეთ წარმატებას ორჯერ მიიღწია — 1987 წელს, როდესაც „იპაქს“ ხელმძღვანელობდა და 1989 წელს — „ბარსელონასთან“ ერთად. „მანჩესტერის“ შემადგენლობაში მხოლოდ ორი ფეხბურთელია, რომლებმაც ორჯერ განიცადეს სანუკვარი პრი-

ზის მოპოვებით გამოწვეული სიხარული — ლეიტონი და შარპი (რომელიც 1985 წელს თამაშობდა „მე-ერტონში“), „ბარსელონის“ შემადგენლობაში კი ასეთი ფეხბურთელები გაცილებით მეტნი არიან. მართლაც, მფლობელი ალესანკო ამ თასის ორჯერ მფლობელია — 1982 და 1989 წლებში. 1989 წლის წარმატება „ბარსელონას“ ახლანდელი შემადგენლობიდან შეუძლიათ გაიმეორონ ნახევარმცველებმა: ჟურბანომ, ესეგიბომ, სოლერმა, თავდასხმელებმა: ბეგირსტაინმა და სალინასმა. სამწუხაროდ, როტერდამში ვერ ითამაშებენ „ბარსელონას“ ლიდერები, მეკარე სუბისარტა და პავლეკი ამორი. სამაგიეროდ, ტრავმებისაგან სრულიად განიკურნა პო-

ლანდის ნაკრების მცველი რონალდ კუშანი. „ბარსელონას“ შემადგენლობაში კიდევ ორი უცხოელი ფეხბურთელია — დანიელი ლაუდროუ-პი და ბულგარელი სტოიჩკოვი. „მინორთაგან“ გამოირჩევიან — ესპანეთის ნაკრების ამოვადალი ვარსკვლავი, ნახევარმცველი ბაკერო, სუბისარტა, ამორი, ბეგირსტაინი, გოიკოჩეა და ნანდო. რაც შეეხება ინგლისელთათვის იდბოიან როტერდამის მინდორს, ესპანელ გულშემატკივრებს მოჰყავთ საპირისპირო არგუმენტი — სწორედ ამ სტადიონზე იოჰან კრუიფი „ფეიენ-რორდის“ შემადგენლობაში გახდა პოლანდიის ჩემპიონი. ასე რომ, ადგილობრივ გულშემატკივართა მხარდაჭერა გარანტირებულია.

ენახოთ, დღეს გამორჩდება, ვისი არგუმენტები უფრო საფუძვლიანია.

ზურაბ ტაბატაძე



კედვ ერთი ჩინებული სპორტსმენი და მოქალაქე დავიარგეთ. ვახილ სანაძის სახელი 80-იან წლების დასაწყისიდან გახდა ცნობილი ჩვენი სპორტის მოყვარულებისთვის. შემდეგ მთელი ოცდაათი წელიწადი სიუყვარულით ემსახურა ქართულ წყალბურთს. მისი სპორტული ბიოგრაფია აღრედაიწყო. ჯერ კიდევ ქაბუკობაში ქვეყნის ორჯერ რეკორდსმენი იყო ცურვაში. 1960 წელს ჩაირიცხა თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდში, რომლის შემადგენლობაში ბევრჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორი, ერთხელ კი ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა. როგორც უადრესად ნიჭიერ სპორტსმენს, სწრაფ იწვევდნენ საკაც-შირო ნაკრებ გუნდში, მონაწილეობდა საზღვარგარეთ გამართულ მრავალ შეჯიბრებაში, მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

შემდეგ დადგა დრო და წყალბურთის თამაშს თავი დაანება, მაგრამ სპორტი არ მიუტოვებია — იყო თბილისის „დინამოს“ და საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტკომიტეის ჩვენმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

მინიჭებული მქონდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. ვახილ სანაძე სამარადეთოდ დარჩება ქართული სპორტის ისტორიაში. მისი ნათელი სსოვნა არასდროს წაიშლება იმ ადამიანთა გუნდებში, ვინც ამ სამაგალითო პიროვნებას ახლოს იცნობდა.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, წყალბურთის ფედეარაცია, წყალთა სახმობის გაერთიანება, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

პარკოვნი: საჭიროა დგულები უნდა

მსოფლიო ექს-ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა ინგლისელ კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ აუცილებლად საჭიროა მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის დებულებები გარკვეული ცვლილებების შეტანა.

კარპოვის აზრით, მსოფლიო პირველობაზე მატჩის პარტიები 5 საათის ნაცვლად 7 საათს უნდა გრძელდებოდეს და დამთავრდეს კი-

დეც, ყოველგვარი გადადების გარეშე. ამ ცვლილების შემდეგ სეკუნდანტა როლი იმდენად მნიშვნელოვანი აღარ იქნება. როგორც ცნობილია, მსოფლიო პირველობის მატჩებზე მოქალაქეს უფლება აქვს ჰყავდეს სამი სეკუნდანტი, რომლებიც არჩევენ გადადებულ პარტიას და ეხმარებიან მას პარტიების წინ თვითრულ მომზადებაში, ამა თუ იმ დებიუტის შერჩევაში.

თუ კარპოვის წინადადება მიიღეს, მაშინ სეკუნდანტებს მუშაობა გაუნაწილებათ.

24 პარტია მსოფლიო პირველობის მატჩში ძალიან ბევრია — განაცხადა კარპოვმა — სრულიად საკმარისია 18.

შემდეგ ექს-ჩემპიონმა ისაუბრა ჩემპიონის — გარი კასპაროვის მომავალი მეტოქის თაობაზე. კარპოვს ბიანია, რომ 1993 წელს მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის საუკეთესო შესაძლებლობები ორ მოქალაქეს აქვს: მას და ახალგაზრდა დიდოსტატ ვასილი ივანჩუკს.

გაითხვალე — გაუთი

პატვიცემული რედაქცია! ამ რამდენიმე დღის წინ „ლელოში“ დაიბეჭდა მასალა V ოლიმპიურ თამაშებზე, რომელშიც საუბარი იყო ამერიკელი ათლეტის ჯიმ ტორპის დიხკვალფიციაციის შესახებ. ჩვენ გაგვკვირვა იმან, რომ სპორტსმენის დასჯა ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელებმა მოითხოვეს. ხაინტერესია, რა დაედო! ბრალად ტორპს და რა ბედი ეწია შემდგომში ამ გადაწყვეტილებას?

დ. თოფური, ბ. ბარამიძე.



რეპეტიტანი 60 წლის უმედე

ამერიკელი ინდიელის, ჯიმ ტორპის გამარჯვებას ხუთიდან და ათიდან მართლაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ოლიმპიურ სტოკჰოლმში, ისე სპორტსმენის საზოგადოებაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში. შინ დაბრუნებულ ტორპს ამერიკის საზოგადოებრიობამ აღფრთოვანებული შეხედრა მოუწყო. გაზეთები მთელი ერთი კვირის მანძილზე ბეჭდვდნენ მასალებს „სტოკჰოლმის გმირზე“, მისი წარმატების ამსახველ ფოტოსურათებს.

სწორედ ეს არ მოეწონა აშშ-ის ათლეტთა კავშირში მოქალაქეებულ მოღვაწეთა ერთ, რასისტულად განწყობილ ნაწილს და ტორპს „გამოუშვეს“ ბრალდება — პროფესიონალიზმში — ვითომც იგი თამაშობდა კეტბურთის ერთ-ერთ პროფესიულ კლუბში და საქმით ფულად ანაზღაურებასაც იღებდა. ეს ყველაფერი კორი და ცილისწამება იყო, ერთ დროს იგი მართლაც გაიტაცა კეტბურთით და მცირე ხნით საუნივერსიტეტო გუნდშიც თამაშობდა, მაგრამ ფულადი ანაზღაურების ამბავი წმინდა წყლის ცილისწამება იყო. თანაც მძლეოსნობაში განსაკუთრებული წარმატება მისი მთლიანი მანებდა თავი კეტბურთში.

ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ აშშ-ის ათლეტთა კავშირის აღმასრულებელი ბიუროს წევრებმა შევიდის ოლიმპიურ კომიტეტს წერილი გაუგზავნეს ტორპის დისკვალიფიკაციის შესახებ და სთხოვეს გადაეხინათ ყველა იმ შეჯიბრების შედეგები, რომლებშიც ტორ-

„მარსელისგან“ ყველაფერს უნდა ელოდო

„თუ გინდა რამე გააკეთო, უნდა გააკეთო რაც შეიძლება კარგად, ან სავრთოდ არ მოჰქიდო ხელი საქმეს“. ეს სიტყვები პირველი „მერსედეს-ბენცის“ შემქმნელს, კარლ ბენცს ეკუთვნის. ეტყობა, ამ პრინციპით ფირმის დღევანდელი მფლობელებიც ხელმძღვანელობენ.


ელექტროსტარტერი, პირდაპირი კური მუხრუჭები, ავტომობილის ტრანსმისია — ყველაფერი ეს „მერსედესის“ არსებობის პირველ ას-წლებში გაკეთდა. რას უნდა გელოდოთ ავტომობილებისგან მომავალში? როგორც თავად ამბობენ, მათი მიზანია ისე სრულყოფილ ავტომობილის კონსტრუქცია, რომ მძღოლი არ იყოს ერთთავად ცენტრირებული, არ იფიქროს იმაზე, თუ რა დროს დაამუხრუჭოს, ან, პირიქით, მოუმატოს სიჩქარეს. „დამოუკიდებელი“ საკონსტრუქტორო ბიუროში ამჟამად მუშაობენ ე. წ. რადიკალური მუხრუჭების შემქმნაზე. სპეციალური მგრობიბარე ხელსაწყო დროულად აცნობებს მძღოლს, რომ მისი ავტომობილი ძალზე მიუხედავად მეორე მანქანას. თუ მძღოლი არ „გაითვალისწინებს“ ამ გაფრთხილებას, ამოქმედდება კო-

მიუტერული სისტემა და მანქანა თავისით დამუხრუჭდება.

დღესდღეობით ბაზარზე უკვე გამოსულია „მერსედესის“ ახალი მოდელები ბაზარების და მძღოლების უსაფრთხოების გაზრდილი შესაძლებლობებით. არსებობს ორი სისტემა: ერთი — სპეციალური მოწყობილობა არეგულირებს მანქანის დამუხრუჭების სიმკვეთრეს, რათა გამოირიცხოს მოცურება; მეორე — ითვალისწინებს მძღოლის ადგილზე სამოტორიზაციო საპიერო ბალიშის დამონტაჟებას, რომელიც ავარიის შემთხვევაში იბერება.

„მერსედესის“ უახლესი მოდელების შემქმნელები — საფუძვლიანად ამაყვრეს თავიანთი „პირმშობი“. ამაზე მეტყველებს კომპანიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პასუხი შეკითხვაზე, თუ რას აკეთებს იგი თავისუფალ დროს: „მიყვარს მანქანის ტარება ჩქაროსნულ ტრასებზე. უნდა გამოვიტყუდო, რომ რომდესაც მწყობრიდან გამოსულ და გზის პირას გაჩერებულ სხვა მანქანის ავტომობილებს ვხედავ, სიამაყის გრძნობა მეუფლება „მერსედესის“ გამო, რომლის საჭესაც მე ვუზივარ“.

გიორგი შორობი



ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი №2)

16 მაისი • ვახუშტის

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

„იბერი“ (თბილისი) — „სანაპარდო“ (სამტრედი)

დასაწყისი 18. საათსა და 30 წუთზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალონებში 15 და 16 მაისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

მატჩის მოლიანი შემოსავალი „იბერიის“ კლუბის თხოვნით, გადაირიცხება მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთა სპეციალურ ფონდში.

ძვირფასო გულშემატკივრებო! შესაძლებლობა გეძლევათ საკუთარი წყლის შეიტანოთ სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დასახმარებლად.

„ლელო“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ნომერი.

წვენი მიხატარაი: წერილებისთვის — 250908, თბილისი, მ. კოსტავას, 14, ლეკუხისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 98-97-55, სამაგალი — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54, „მერსედი“ — 98-97-26, „მარტო“ — 98-97-27.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა „საზოგადოებრივი“ ტანს 250000, თბილისი, მ. კოსტავას, 14. აბეჭდება იუსტურა წესით, საგან-თი კარგად, სიზარულად, 20. რედაქცია გულმოდგინედ ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებასა და პასუხის გაცემის საშუალება არ გავაჩინია. შემოსული მასალები, არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20